ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1241504

ნომერი: AR1214280

თარიღი : 24.04.2014

გაცემის თარიღი : 28.04.2014

გაცნობის თარიღი : 30.04.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა დავით ჯაბიძე , N 8 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გურამი გზირიშვილი პ/ნ 01023007469
- თბილისი არბოს ქ. N 20"ა" ბ. 12

ორგანიზაცია:

- ერთობა კოდი: 200036406

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 10.04.2014წ. #1190263 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურს 04/24/2014წ. #AR1214280 განცხადებით მომართა გურამი გზირიშვილმა და მოითხოვა სამსახურის 10.04.2014წ. #1190263 ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორება და ობიექტის მისამართად დავით კაკაბაძის N8–ის ნაცვლად, დავით ჯიბაძის N8–ის მითითება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 10.04.2014წ. #1190263 ბრძანებით ქ. თბილისში, სექტორი გლდანი, დავით ჯიბაძის ქუჩა #8–ში, შ.პ.ს. ,,ერთობა"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკ.კოდი #01.11.10.004.043) შეთანხმდა სავაჭრო ცენტრის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა, რომლის ვადა განისაზღვრა 2014 წლის 11 აპრილიდან 2015 წლის 11 აპრილის ჩათვლით.

მიღებული ბრძანების გადამოწმების შედეგად, სამსახურმა დაადგინა, რომ ბრძანების ტექსტში, მიწის ნაკვეთის მისამართი არასწორადაა დაფიქსირებული, კერძოდ, დავით ჯიბაძის N8–ის ნაცვლდ, მითითებულია დავით კაკაბაძის N8. უძრავი ქონების საკადასტრო გეგმით (საკ. კოდი #01.11.10.004.043, რეგისტრაციის #882014062296, მომზადების თარიღი: 12/02/2014წ.) დგინდება, რომ საპროექტო მიწის ნაკვეთის მისამართს წარმოადგენს: ქ. თბილისი, დავით ჯიბაძის N8.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან სამსახურის 10.04.2014წ. #1190263 ბრძანების ტექსტში დაშვებულ იქნა ტექნიკური შეცდომა, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური ხარვეზი ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1.გასწორდეს ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 10.04.2014წ. #1190263 ბრძანების ტექსტში დაშვებული ტექნიკური შეცდომა და ობიექტის მისამართად დაფიქსირდეს ქ. თბილისი, დავით ჯიბაძის N8, ნაცვლად დავით კაკაბაძის N8–ისა.

2.აღნიშნული ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 10.04.2014წ. #1190263 ბრძანებასთან ერთად;

3.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის: შარტავას ქ.#7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.